

თავისუფლება

მინაწერი ლევან სანიკიძის წიგნზე „კეისარიადა“

ვითომ რესპუბლიკა - საქმე და ხალხი,
ფორმა სენატი და სახალხო კრება,
უსმენს უხუცესთ და მართავს კეისარი,
გრძელდება მათხარი ომების წყება.
მტრის ხატით აშინებენ დემოსს

სტრატეგები,

ხოტბას ადავლენს დარბაზი „მშვიდი“:

- დიდება მეუფეს!
- დიდება კეისარს!
- ქვეყანას გადამრჩენი ეღირსა დიდი!
- ბრძოლა კორუფციას!
- მექრთამეს სახრჩობელა!

(ოქროს ზოდები კი - კეისრის სალაროში)

- ხალხისთვის ,

ყველაფერი ხალხისთვის!

(ხალხს კი - აღარ შერჩა არცერთი

გროში).

ათასი მოისარით დადის კეისარი

და მაინც ხალხთან მისვლის ეშინია.

- დიდება მეუფეს!
- დიდება კეისარს! -

ბლავის სენატი და ქვეყანა შეშლილია.

- დიდება მეუფეს!
- დიდება კეისარს.

- ჰკვივან მოხელენი - კაცუნა დედლები.

ხაზინა დაიცალა, ქვეყანა გაიძარცვა,

მკერდებზე აიჩინჩხლეს ლიქნისთვის

მედლები.

ოქროთი გაავსეს სენატორთ ზარდახშები,

სულს ღაფავს გლეხი,

სულს ღაფავს მონა,

ქალაქებზე: ყველაფერი მხოლოდ

ხალხისათვის!

ტყუილებს ოქროზე დიდი აქვს წონა.

ვითომ რესპუბლიკა - საქმე და ხალხი,

ფორმა: სენატი და სახალხო კრება,

მკერდში ტყვია და თვალებში ნაცარი,

სადაც მონაა იქ რა უნდა

თავის - უფლე - ბას!

თამაზ აბულაძე

ქედა, ხარაულა